ოქმი:№135. 13524061001
თარიღი:01/03/2024

მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სხდომის ოქმი №-2

დ. მესტია 29.02. 2024წ

<u>სხდომას ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები:</u> მ. ჯაფარიძე, ზ. ჩართოლანი, ა. რატიანი. ბ. ნაკანი, გ. გიგლემიანი, გ. გელოვანი, დ. გვიჩიანი, დ. ჯაფარიძე, ვ. ჭკადუა, ზ. ჯაფარიძე, ზ. ფალიანი, თ. დადეშქელიანი, ლ. პირველი, ლ. ჩარკვიანი, მ. პაკელიანი, მ. ხორგუანი, შ. გულედანი, შ. ცინდელიანი, რ. გვარმიანი, კ. გუჯეჯიანი.

<u>სხდომას საპატიო მიზეზით არ ესწრებოდნენ:</u> ბ. კვიციანი, გ. დადვანი, გ. ხვისტანი, ზ. ხარძიანი, ვ. ფილფანი, ი. გირგვლიანი, ი. რატიანი, მ. კვანჭიანი, შ. რატიანი, მ.გელოვანი, მ.რატიანი, ლ. ქალდანი, ლ.პაკელიანი,

<u>სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ მოწვეული სტუმრები:</u> მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაცის სამსახურის უფროსი ქ. ხარძიანი, მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარებისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსი ლ. გულედანი, მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარებისა და არქიტექტურის სამსახურის მთავარი სპეციალისტი თ. გოშთელიანი; მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის აუდიტის სამსახურის უფროსი ი. ღვაჩლიანი; მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის შესყიდვების სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი ბ. მერლანი.

<u>სხდომას თავმჯდომარეობდა</u> მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე მ. ჯაფარიძე.

<u>სხდომის მდივანი:</u> მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საოქმო განყოფილების მთ. სპეციალისტი მ. ნიგურიანი.

სხდომის დაწყებამდე საკრებულოს წევრებმა გაიარეს რეგისტრაცია, რეგისტრაციის გავლის მიხედვით სხდომას ესწრებოდა საკრებულოს 33 წევრიდან 20 დეპუტატი.

თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს მიესალმა და გააცნო დღის წესრიგი

დღის წესრიგი:

1. „მესტიის მუნიციპალიტეტში სახელმწიფო და მესტიის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დამტკიცების შესახებ“.

/მომხსენებელი: ბ.ნაკანი./

2. ,,მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის დებულებისდამტკიცების შესახებ“ მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 31 იანვრის N2 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“.

/მომხსენებელი: ვ. გულედანი. თანამომხსენებელი: შ. ცინდელიანი/

3. მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 22 ნოემბრის N-24 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“.

/მომხსენებელი: ვ. გულედანი. თანამომხსენებელი: შ. ცინდელიანი/

4. ,,მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურის ანგარიში 2023 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ“.

/მომხსენებელი: ი. ღვაჩლიანი. თანამომხსენებელი: შ. ცინდელიანი/

5. ,,მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის ა(ა)იპ მესტიის მუნიციპალიტეტის კულტურის და ხელოვნების ცენტრის სამსახურის ანგარიში 2023 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ“.

/მომხსენებელი: ლ. კიკვიძე. თანამომხსენებელი: მ. ხორგუანი/

6. ,,მესტიის ინფრასტრუქტურის განვითარებისა და არქიტექტურის სამსახურის ანგარიში 2023 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ“.

/მომხსენებელი: ლ. გულედანი. თანამომხსენებელი: ზ. ფალიანი/

7. ,,მერიის შესყიდვების სამსახურის ანგარიში 2023 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ“.

/მომხსენებელი: ბ. მერლანი. თანამომხსენებელი: ბ. ნაკანი/

8. ,,მესტიის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის სარგებლობის უფლებით, ა(ა)იპ სათავგადასავლო ტურიზმის სკოლისთვის გადაცემის თაობაზე მესტიის მუნიციპალიტეტის მერიისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“.

/მომხსენებელი: თ. გულედანმა. თანამომხსენებელი: ბ. ნაკანი/

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს ეყაროს კენჭი ,,მესტიის **მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 29 თებერვალი სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ“**. წარმოდგენილი რედაქციით.

მომხრე----------20

წინააღმდეგი------0

თავი შეიკავა-------0

კენჭისყრის შედეგად საკრებულოს წევრებმა მხარი დაუჭირეს ერთხმად.

საკრებულომ დაადგინა: მიიღონ განკარგულება `მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 29 თებერვალი სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ“.

განკარგულება მიღებულ იქნა

(განკარგულება №გ-გ-135. 135240606 **თან ერთვის)**

მოისმინეს: დღის წესრიგით გათვალისწინებული პირველ საკითხზე მოხსენება გააკეთა ბ. ნაკანმა „მესტიის მუნიციპალიტეტში სახელმწიფო და მესტიის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დამტკიცების შესახებ“.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ დადგენილების ვადის გამო ყოველი წლის დასაწყისში მუნიციპალიტეტი ამტკიცებს ფასს არსებული ან შეცვლილი ფორმით.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს კენჭი ეყაროს წარმოდგენილ წინადადებას.

მომხრე ----------20
წინააღმდეგი -----
თავი შეიკავა ----
კენჭისყრის შედეგად დაადგინეს: მიღებული იქნას დადგენილება, „მესტიის მუნიციპალიტეტში სახელმწიფო და მესტიის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დამტკიცების შესახებ“.
მიღებული იქნა დადგენილება:
(დადგენილება №- 6 თან ერთვის)
მოისმინეს: დღის წესრიგით გათვალისწინებული მეორე საკითხზე მოხსენება გააკეთა ქ. ხარძიანმა ,,მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის დებულები სდამტკიცების შესახებ“ მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 31 იანვრის N2 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“.
მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული ,,პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ კანონის საფუძველზე, რომელიც ძალაში შედის 2024 წლის 1 მარტიდან, ხოლო ცალკეული მუხლები პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერთა და მონაცემთა დაცვაზე ზეგავლენის შეფასებასთან დაკავშირებით, 2024 წლის 1 ივნისს ამოქმედდება. აქედან გამომდინარე ახალი კანონის ამოქმედების მომენტისთვის მერიის დებულებაში და საკრებულოს რეგლამენტშიც შევა ცვლილებები. კანონის თანახმად ყველა საჯარო დაწესებულებამ უნდა განსაზღვროს დანიშნოს ოფიცერი. დამსწრე საზოგადოებას გააცნო ოფიცრის მოვალეობები და ვალდებულებები, რომელიც გაწერილია ამ კანონის შესაბამისად.
სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს განიხილონ აღნიშნული საკითხი და გამოთქვან მათი მოსაზრებები.
აზრი გამოთქვა: ზ. ჩართოლანი, შ. ცინდელიანი, -- როგორ და რითი განისაზღვრება ოფიცრის ფუნქციები.
ქ. ხძიანი---ოფიცრის ფუნქციები განისაზღვრება მერიის და საკრებულოს თავმჯდომარის ბრძანებით.
სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს კენჭი ეყაროს წარმოდგენილ წინადადებას.
მომხრე ----------20
წინააღმდეგი -----
თავი შეიკავა ----
კენჭისყრის შედეგად დაადგინეს: მიღებული იქნას დადგენილება, ,,მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის დებულები სდამტკიცების შესახებ“ მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 31 იანვრის N2 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“.
მიღებული იქნა დადგენილება:
(დადგენილება №-7 თან ერთვის)
მოისმინეს: დღის წესრიგით გათვალისწინებული მესამე საკითხზე მოხსენება გააკეთა ქ. ხარძიანმა ,,მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 22 ნოემბრის N-24 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“.
სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს კენჭი ეყაროს წარმოდგენილ წინადადებას.
მომხრე ----------20
წინააღმდეგი -----
თავი შეიკავა ----
კენჭისყრის შედეგად დაადგინეს: მიღებული იქნას დადგენილება, ,,მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 22 ნოემბრის N-24 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“.
მიღებული იქნა დადგენილება:
(დადგენილება № 8 თან ერთვის)
მოისმინეს: დღის წესრიგით გათვალისწინებული მეოთხე საკითხზე

მოხსენება გააკეთა ი. ღვაჩლიანმა ,,მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურის ანგარიში 2023 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ“.
მომხსენებელმა ისაუბრა სამსახურის მიერ გაწეულ საქმიანობის შესახებ. შიდა აუდიტის სამსახურის მისიაა განახორციელოს რისკის შეფასებაზე დამყარებული მარწმუნებელი და საკონსულტაციო საქმიანობა ობიექტურად და დამოუკიდებლად. 2023 წელს ჩატარდა აუდიტი: 1. განათლების, კულტურის, სპორტის, ძეგლთა დაცვის და ახ. საქმეთა სამსახურის შესაბამისობის აუდიტი;
2. ა(ა)იპ მესტიის მუნიციპალიტეტის დასუფთავების და კეთილმოწყობის სამსახურის ეფექტიანობის აუდიტი;
3. ა(ა)იპ მესტიის მუნიციპალიტეტის გარე განათების სამსახურის შემოწმება ვერ დასრულდა რადგან სამსახურს არ მოუწოდებია მოთხოვნილი დოკუმენტაცია.
აუდიტის მიერ გამოვლენილია ნაკლოვანებები, გამომწვევი მიზეზები და შედეგები, რაზეც გაცემულია რეკომენდაციები. აუდიტის ობიექტებმა გაითვალისწინეს შიდა აუდიტის მიერ გაცემული რეკომენდაციები და ვადის ფარგლებში უმეტესი ნაწილი შესრულებულია. აღნიშნულტან დაკავშირებით შიდა აუდიტის სამსახურს აქვს მუდმივი კომუნიკაცია აუდიტის ობიექტებთან.
სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს განიხილონ აღნიშნული საკითხი და გამოთქვან მათი მოსაზრებები.
აზრი გამოთქვა: მ. ჯაფარიძე--ხომ არ არის წინააღმდეგობა სამსახურების მიერ და რა ღონისძიებები ტარდება?
ი. ღვაჩლიანი--ამ შემთხვევაში მერის მეშვეობით გვიწევს მუშაობა.
ს. ჩართოლანი--სახელმწიფო აუდიტი თუ ეყრდნობა შიდა აუდიტის მონაცემებს და რის მიხედვით არჩევთ ორგანიზაციას?
ი. ღვაჩლიანი- სამსახური თანამშრომლობს სახელმწიფო აუდიტთან. ობიექტი ირჩევა რისკის მიხედვით.
შ. ცინდელიანი--შრომის ანაზღაურების ზღვარი როგორ რეგულირდება და რეკომენდაციის სახით თუ შეიძლება მისცეს აუდიტის სამსახურმა?
ი. ღვაჩლიანი--მერის პრეროგატივაა და მერის გადაწყვეტილებით ხორციელდება.
სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს ,,მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურის ანგარიში 2023 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ“. ანგარიში შეფასდეს დადებითად და კენჭი ეყაროს წარმოდგენილ წინადადებას.
მომხრე ----------20
წინააღმდეგი -----
თავი შეიკავა ----
კენჭისყრის შედეგად დაადგინეს: მიღებული იქნას განკარგულება, ,,მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურის ანგარიში 2023 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ“.

განკარგულება მიღებულ იქნა

(განკარგულება №გ-:გ-135. 135240601 **თან ერთვის)**
მოისმინეს: დღის წესრიგით გათვალისწინებული მეხუთე საკითხზე მოხსენება გააკეთა გ. ფალიანმა ,,მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის ა(ა)იპ მესტიის მუნიციპალიტეტის კულტურის და ხელოვნების ცენტრის სამსახურის ანგარიში 2023 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ“.
მომხსენებელმა ისაუბრა 2023 წელს გაწეულ საქმიანობის შესახებ. სამსახურის ბიუჯეტის გეგმა შეადგენს 1,050000 ფაქტიური ხარჯი - 1011692.95 ლარი. სულ წლიურ ხარჯმა საკუთარი სახსრების ჩათვლით შეადგინა - 104605.76 ლარი. წლის ბოლოს ხელფასებიდან დარჩენილი ნაშთი ათვისებულ იქნება და გადანაწილდა თითოეულ თანამშრომელზე დანმატის სახით - 34 900 ლარი. ისაუბრა სამსახურის მიერ ჩატარებულ სხვადასხვა კულტურულ ღონისძიებებზე. მოპოვებულ გრანტებზე და ამ გრანტებით ჩატარებულ სხვადასხვა ფესტივალზე. სამსახურს აქვს ყველა თანამშრომელზე გაწერილი სამუშაო აღწერილობა, ხდება ამ სამუშაო გეგმის მიხედვით მუშაობა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს განიხილონ აღნიშნული საკითხი და გამოთქვან მათი მოსაზრებები.
აზრი გამოთქვა: მ. ხორგუანი--კომისიამ განიხილა საკითხი, სამსახურის უფროსთან ერთად ისაუბრეს სოფლის კლუბების ამუშავებაზე და ხელშეწყობაზე.
სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს,,მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის ა(ა)იპ მესტიის მუნიციპალიტეტის კულტურის და ხელოვნების ცენტრის სამსახურის ანგარიში 2023 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ“ ანგარიში შეფასდეს დადებითად და **კენჭი ეყაროს წარმოდგენილ წინადადებას.**
მომხრე ----------20
წინააღმდეგი -----
თავი შეიკავა ----
კენჭისყრის შედეგად დაადგინეს: მიღებული იქნას განკარგულება, ,,მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის ა(ა)იპ მესტიის მუნიციპალიტეტის კულტურის და ხელოვნების ცენტრის სამსახურის ანგარიში 2023 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ“.

განკარგულება მიღებულ იქნა

(განკარგულება №გ-გ-135. 135240602 **თან ერთვის)**
მოისმინეს: დღის წესრიგით გათვალისწინებული მეექვსე საკითხზე მოხსენება გააკეთა ლ. გულედანმა ,,მესტიის ინფრასტრუქტურის განვითარებისა და არქიტექტურის სამსახურის ანგარიში 2023 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ“.
მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, არქიტექტურისა და ურბანული განვითარების სამსახური მონაწილეობს მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების, მათი კეთილმოწყობისა და ინფრასტრუქტურის განვითარების, სივრცითი მოწყობის, ზონირებისა და მშენებლობის კოორდინაციის კუთხით გაწეულ საქმიანობაში, რომელიც ერთერთ პრიორიტეტად არის მიჩნეული, მესტიის მუნიციპალიტეტის წინაშე არსებული გამოწვევების გათვალისწინებით შემუშავებულ, რეგიონის მდგრად განვითარებაზე ორიენტირებულ საშუალო და გრძელვადიან გეგმებში.

2023 წელს მესტიის მუნიციპალიტეტში ინფრასტრუქტურის განვითარების კუთხით შესრულდა 18 090 235 ლარის სამუშაოების. საქართველოს მთავრობის განკარგულებით სხვადასხვა პროექტებისთვის, წლის დასაწყისში გამოყოფილი იქნა 5 935 266 ლარი. სამუშაოთა შესრულების მაღალი მაჩვენებლების გამო განკარგულებაში წლის განმავლობაში ორჯერ შევიდა ცვლილება და იგივე პროექტები დაფინანსდა 10 722 298 ლარით, მათ შორის 8 023 951 ლარი გამოყოფილი იქნა რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან 553 347 ლარი მაღალმთიანი დასახლებების ფონდის მიერ და 2 060 000 ლარი სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო სამუშაოთა შესასრულებლად. სოფლის მხარდაჭერის პროგრამით, გამოყოფილი იქნა 1 564 000 ლარი, და ადილობრივი ბიუჯეტიდან დაიხარჯა 5 894 028 ლარი.

შესრულებულ სამუშაოთა უმეტესი ნაწილი მოდის საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარებაზე და გასულ პერიოდში, გზებისა და ხიდების მშენებლობა-რეაბილიტაციაზე ნაცვლად 5 200 000 ლარისა შესრულდა 8 662 671 ლარის სამუშაოები. გეგმა შესრულდა 135,7 %-ით, 2022 წლის შესაბამის მაჩვენებელს კი 1 850 140 ლარით ანუ 27,2 %-ით გადააჭარაბა.
ისაუბრა მუნიციპალიტეტის ერთეულებში განხორციელებილ პროექტებზე და მათ მიმდინარეობებზე. ინფრასტრუქტურის სამსახური სისტემატურად იღებს ინფორმაციას მუნიციპალიტეტში მიმდინარე ისეთი სამშენებლო ობიექტების შესახებ, რომელთა მშენებლობას ახორციელებს საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი (3 საბავშვო ბაღი, ოთხი საჯარო სკოლა), საავტომობილო

გზების დეპარტამენტი და მონაწილეობს პრობლემური საკითხების გადაჭრის საქმეში. 2023 წელს მერიის მიერ შემუშავდა 2024-2027 წ.წ. საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტი. შემუშავების პროცესში სხვა სამსახურებთან ერთად აქტიურად იყო ჩართული ინფრასტრუქტურის განვითარებისა და არქიტექტურის სამსახური. სამსახური ასევე უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის განვითარების სტრატეგიის და პროგრამული ბიუჯეტის მომზადებას, მათი განხორციელების მონიტორინგს და შეფასებას.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს განიხილონ აღნიშნული საკითხი და გამოთქვან მათი მოსაზრებები.

აზრი გამოთქვა:

რ. გვარმიანმა--ისაუბრა ნაკრის ტერიტორიულ ერთაულთან დამაკავშირებელი გზის პრობლემებზე და იკითხა თუ რა პასუხია მოსალოდნელი ნენსკრა ჰესის კომპანიიდან. იგივე პრობლემაა ჭუბერის ტერიტორიული ერთეულთან დამაკავშირებელ ცენტრალურ გზაზეც.

ლ. გულედანი-- თუ ნენსკრა ჰესი ვერ გააგრძელებს და ვერ განახორციელებს სამუშაოებს, მუნიციპალიტეტს მზად აქვს ზემოთ აღნიშნული გზების პროექტი და ჩაატარებს სამუშაოებს.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს ,,მესტიის ინფრასტრუქტურის განვითარებისა და არქიტექტურის სამსახურის ანგარიში 2023 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ“. ანგარიში შეფასდეს დადებითად და **კენჭი ეყაროს წარმოდგენილ წინადადებას.**

მომხრე ----------19

წინააღმდეგი -----

თავი შეიკავა ----

კენჭისყრის შედეგად დაადგინეს: მიღებული იქნას დადგენილება, ,,მესტიის ინფრასტრუქტურის განვითარებისა და არქიტექტურის სამსახურის ანგარიში 2023 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ“.

მიღებული იქნა განკარგულება:

(განკარგულება №გ-გ-135. 135240607 **თან ერთვის)**

მოისმინეს: დღის წესრიგით გათვალისწინებული მეშვიდე საკითხზე მოხსენება გააკეთა ბ. მერლანმა ,,მერიის შესყიდვების სამსახურის ანგარიში 2023 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ“.

მომხსენებელმა ისაუბრა სამსახურის მიერ გაწეულ მუშაობაზე. მესტიის მუნიციპალიტეტის შესყიდვების სამსახური ახორციელებს ელექტრონული, ან სხვა საშუალებების გამოყენებით მესტიის მუნიციპალიტეტის მიერ ნებისმიერი საქონლის, მომსახურებისა და სამშენებლო სამუშაოების შესყიდვას ადგილობრივი ბიუჯეტით, სახელმწიფო პროგრამებით, გრანტებით და სხვა შემოსავლებით.

შესყიდვების სამსახური უზრუნველყოფს სახელმწიფო შესყიდვების გეგმების შესყიდვების საიტზე ატვირთვას, რის საფუძველზეც ახორციელებს თითოეული შესასყიდი ობიექტის დეტალურ შესწავლას, ტექნიკური მახასიათებლების მოძიებას შესაბამისი სამსახურებიდან, რის შემდეგაც უზრუნველყოფს ბაზრის კვლევას სატენდერო ფასის დადგენის მიზნით და სატენდერო დოკუმენტაციის მომზადებას.

შესყიდვების სამსახურმა 2023 წელს უზრუნველყო 58 ტენდერის გამოცხადება, აქიდან დადებითი შედეგით დასრულდა და ხელშეკრულება გაფორმდა 48 ტენდერზე, 8 ტენდერი არ შედგა, 2 ტენდერი შეწყვეტილია *(მაღალი გამავლობის ავტოსატრანსპორტო საშაუელების შესყიდვა (2 ერთეული)* და არც ერთი ტენდერი არ დასრულდა უარყოფითი შედეგით.

გამოცხადებული ტენდერების ჯამურმა ღირებულებამ შეადგინა 29 532 938 ლარს, აქიდან ხელშეკრულებები დაიდო 29 246 978 ლარზე. გამოცხადებული

ტენდერებიდან მიღებული ეკონომია შეადგენს 285 960 ლარს. 2023 წლის მონაცემებით შესყიდვების სამსახურმა გააფორმა 269 ხელშეკრულება, აქიდან 50 ხელშეკრულება დაიდო ელექტრონული ტენდერის საფუძველზე, 18 კონსოლიდირებული ტენდერით, ხოლო 201 ხელშეკრულება გამარტივებული შესყიდვის საფუძველზე.

ისაუბრა სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში გაფორმებული 124 ხელშეკრულებაზე.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს განიხილონ აღნიშნული საკითხი და გამოთქვან მათი მოსაზრებები.

აზრი გამოთქვა:

რ. გვარმიანი--სავალდებულოა თუ არა ხელშეკრულებაში მითითებული იყოს ხელშეკრულების კონტროლის შესახებ?

ბ. მერლანი- აღნიშნული შემსყიდველი ორგანიზაციის უფლებას წარმოადგენს და არა ვალდებულებას.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს ,,მერიის შესყიდვების სამსახურის ანგარიში 2023 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ“ ანგარიში შეფასდეს დადებითად და **კენჭი ეყაროს წარმოდგენილ წინადადებას.**

მომხრე ----------20

წინააღმდეგი -----

თავი შეიკავა ----

კენჭისყრის შედეგად დაადგინეს: მიღებული იქნას დადგენილება, ,,მერიის შესყიდვების სამსახურის ანგარიში 2023 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ“.

მიღებული იქნა განკარგულება:

(განკარგულება № :გ-135. 135240604 **თან ერთვის)**

მოისმინეს: დღის წესრიგით გათვალისწინებული მერვე საკითხზე მოხსენება გააკეთა თ. გოშთელიანმა. ,,მესტიის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის სარგებლობის უფლებით, ა(ა)იპ სათავგადასავლო ტურიზმის სკოლისთვის გადაცემის თაობაზე მესტიის მუნიციპალიტეტის მერიისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“.

მომხსენებელმა გააცნო მერიაში შემოსული (ა)იპ ,,სათავგადასავლო ტურიზმის სკოლის" 27.02.2024 წლის N MES 4 24 0000223187 წერილი, რომლითაც დამატებით მოთხოვნილია, ტურიზმის სკოლის საწვრთნელი ბაზის და დამატებითი აუცილებელი კომპონენტების მშენებლობისთვის მიწის გადაცემა.

49 წლის ვადით აღნაგობის უფლებით, მესტიის მუნიციპალიტეტში მდინარე მესტიაჭალას ხეობაში მდებარე მიწის ნაკვეთის (ს/კ 42.06.52.012) მომიჯნავე მიწის ნაკვეთი ს.კ 42.06.52.011 / 1,989 m2 .

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს განიხილონ აღნიშნული საკითხი და გამოთქვან მათი მოსაზრებები.

აზრი გამოთქვა: ზ. ჩართოლანმა-- ა(ა)იპ სათავგადასავლო ტურიზმის სკოლა, რომელიც მდებარეობს გუდაურში ჰყავს სრულყოფილი და გამოცდილი კადრები, იმედია კომერციულ საქმიანობის ობიექტად არ გადაიქცევა

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს კენჭი ეყაროს წარმოდგენილ წინადადებას.

მომხრე ----------20

წინააღმდეგი -----

თავი შეიკავა ----

კენჭისყრის შედეგად დაადგინეს: მიღებული იქნას დადგენილება, ,,მესტიის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის სარგებლობის უფლებით, ა(ა)იპ სათავგადასავლო ტურიზმის სკოლისთვის გადაცემის თაობაზე მესტიის მუნიციპალიტეტის მერიისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“.

მიღებული იქნა განკარგულება:

(განკარგულება №g-135. 135240313 თან ერთვის)

სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხი განხილული იქნა.

სხდომა გამოცხადდა დახურულად.

მაიზერ ჯაფარიძე

მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი